www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საზღვაო ნავსადგურები და ტერმინალები

2023 წლის I კვარტალი

19.05.2023 | www.geostat.ge

19.05.2023

საზღვაო ნავსადგურებისა და ტერმინალების ძირითადი მაჩვენებლები

(2023 წლის I კვარტალი)

2023 წლის I კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოვიდა 393[1] გემი, რომელთა 39.7 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთის გადამზიდია, 28.2 პროცენტი - თხევადი ტვირთმზიდია, 23.7 პროცენტი - კონტეინერმზიდი, ხოლო 8.4 პროცენტი ნაყარ ტვირთმზიდზე, სპეციალიზებულ გემებზე და ბუქსირებზე ნაწილდება.

2023 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 43.1 პროცენტით მეტი კონტეინერმზიდი მიიღო, 5.4 პროცენტით მეტი - გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთმზიდი, 17.8 პროცენტით ნაკლები - თხევადი ტვირთმზიდი და 32.4 პროცენტით ნაკლები - ნაყარი ტვირთმზიდი.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა ტიპების მიხედვით



[1]წყარო: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

19.05.2023

2023 წლის I კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების 16.3 პროცენტი პანამის დროშის ქვეშ დაცურავს, 16.3 პროცენტი - ლიბერიის, 13.7 პროცენტი - თურქეთის, 8.4 პროცენტი მალტის, 5.3 პროცენტი - ბულგარეთის, 5.1 პროცენტი - რუსეთის, ხოლო 34.9 პროცენტი სხვა ქვეყნებზე ნაწილდება.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა რეგისტრაციის ქვეყნების (დროშა) მიხედვით,

(ერთეული)



2023 წლის I კვარტალში საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 3 505.6 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავა, რაც 17.8 პროცენტით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. გადამუშავებული ტვირთის 39.5 გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთია, 34.0 პროცენტი - თხევადი ტვირთი, 26.6 პროცენტი - ნაყარი ტვირთი.

19.05.2023

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთის მოცულობა სახეების მიხედვით,
(ათასი ტონა)



საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთის მოცულობის ცვლილება, 2023 წლის I კვარტალი წინა წლის I კვარტალთან შედარებით,
(%)



2023 წლის I კვარტალში საქართველოს ნავსადგურები 1.2 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც 55.8 პროცენტით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, მგზავრთა ნაკადში შემოსული მგზავრების წილი მცირედით აღემატება გასული მგზავრების წილს და 53.0 პროცენტს შეადგენს.

მგზავრთა ნაკადი საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში,
(ათასი კაცი)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge